## ამხანაგო ფიზკულტურელებო, სპორტსმენებო, მწვრთნელებო 1961 წლის პირველ დღეებიდანვე ჩავებათ რესპუბლიკის სპორტული ღირსებისათვის ბრძოლაში!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 2 (1638) ○ შაბათი, 3 იანვარი, 1961 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი. ○ ფასი 3 კაპ.



◆

ამას წინათ მოსკოვში შედგა საერთაშორისო მატჩი ხელბურთში საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ვაჟთა გუნდებს შორის:

ანგარიშით 18:16 გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

სურათზე: თამაშის დროს.

ფოტო უნ და-სინისა.

◆

## ბავშვთა შორის ნაყოფიერი მუშაობისათვის

სსრკ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭომ ბავშვთა შორის წლების მანძილზე ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა მწვრთნელთა და ბავშვთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ხელმძღვანელები. მათ შორის ჩვენი რესპუბლიკიდან:

ტ. იორდანიშვილი („შრ. რეზერვების“ ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი ცურვაში), ვ. კლიმოვა (თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის ბავშვთა სპორტსკოლის საზოგადოებრივი მწვრთნელი ტანვარჯიშში), ვ. ილურიძე („ბურევესტნიკის“ ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი ჭიდაობაში), მ. ბერძენიშვილი (მწვრთნელი ფეხბურთში), ტ. უზუნოვი (ა. კ. რკინიგზის სამმართველოს ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი ტანვარჯიშში), რ. ჩალაბოვა (ა. კ. რკინიგზის სამმართველოს დირექტორი), ო. ქორქია („დინამოს“ კალათბურთის განყოფილების უფროსი მწვრთნელი), დ. ფავლენიშვილი (თბილისის ბავშვთა კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორი), ა. ჩაჩავა (სოხუმის ბავშვთა კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორი), ო. ასათიანი (ბათუმის ბავშვთა კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორი), გ. სვანიძე (ქუთაისის ბავშვთა კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორი), შ. ბოსტაშვილი (თბილისის კალინინის რაიონის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი), ე. გაგუა (თბილისის ბავშვთა მძლეოსნური სპორტსკოლის დირექტორი), დ. კინწურაშვილი (განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი), ნ. ბახუტაშვილი, ე. ქოვლიევა (თბილისის ბავშვთა ტანვარჯიშული სპორტსკოლის მწვრთნელები ტანვარჯიშში), კ. ხანგულიანი (თბილისის ბავშვთა კომპლექსური სპორტსკოლის მწვრთნელი ჩოგბურთში), ტ. სერგიაშვილი (ბათუმის ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი კალათბურთში), ვ. უსტიანცევა (სოხუმის ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი წყალში ხტომაში), შ. მარგიშვილი (თბილისის ბავშვთა კომპლექსური სპორტსკოლის მწვრთნელი ფრენბურთში), ლ. იოაკიმიდი (თბილისის ბავშვთა კომპლექსური სპორტსკოლის მწვრთნელი ცურვაში), ნ. სხირტლაძე (თბილისის ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი მძლეოსნობაში), ვ. ჯონჯოლიანი (თბილისის კომპლექსური ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი ველორბოლაში), ნ. ძიაპშიპა (თბილისის ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი ფეხბურთში), ვ. გოგლიძე (თბილისის ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი ჭადრაკში), ნ. ემხვარი (სოხუმის ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი ნიჩბოსნობაში), ბ. ტახტაროვი (თბილისის ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი მძლეოსნობაში), ვ. ჩიტიშვილი (თბილისის ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი ტანვარჯიშში), გ. ბაბახანიდი (თბილისის კომპლექსური ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი კალათბურთში), შ. კაკაურიძე (თბილისის კომპლექსური ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი ტანვარჯიშში), ა. პაპალაშვილი (თბილისის ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი ტანვარჯიშში), პ. ხოზიაევი (თბილისის ბავშვთა კომპლექსური სპორტსკოლის მწვრთნელი ფრენბურთში), კ. კაპლუნი (განათლების სამინისტროს მეთოდისტი), დ. რეიტერსკაია (სოხუმის ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი ცურვაში), ვ. კრილოვა (სოხუმის ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი მხატვრულ ტანვარჯიშში).

## ვ. ბრუმელი 7,23 სმ.

მრავალი მაყურებელი დაესწრო სტალინის სახელობის ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის დარბაზში მოწყობილ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებას მძლეოსნობაში. ეს ინტერესი გასაგები იყო, რადგან ინსტიტუტის ჩემპიონობაზე გამართულ ასპარეზობაზე სხვებთან ერთად მონაწილეობდა რომის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, ევროპის რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში ვ. ბრუმელი. სახელგანთქმულმა მძლეოსანმა შეჯიბრება დაიწყო მისთვის უჩვეულო სახეობაში — ბირთვის კვრაში, სადაც მან შედეგით 13 მ 33 სმ მეექვსე ადგილი დაიკავა, სამაგიეროდ უძლიერესი იყო სიმაღლეზე ხტომაში, სადაც აჩვენა 2 მ 14,5 სმ. ეს შედეგი ახალი ევროპული მიღწევაა. ვ. ბრუმელი ჩაება აგრეთვე სიგრძეზე მხტომელთა შეჯიბრებაში, სადაც დაძლია 723 სმ.

## ჯაკარტის სტადიონის მშენებლობაზე

ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში მიმდინარეობს სტადიონის მშენებლობა, რომლის აგება სსრ კავშირის დახმარებით ხორციელდება. ამას წინათ მშენებლობა ინახულა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სუკარნომ, რომელსაც ახლდნენ განათლებისა და კულტურის მინისტრი პრიიონო, ჯაკარტის მერი სუმარლო, სსრ კავშირის ელჩი ინდონეზიაში ნ. ა. მიხაილოვი, საბჭოთა სპეციალისტები, რომლებიც მონაწილეობენ სტადიონის მშენებლობაში.

საბჭოთა სპეციალისტებთან და ელჩთან საუბარში პრეზიდენტმა სუკარნომ განაცხადა, რომ სტადიონის მშენებლობა არის სსრ კავშირისა და ინდონეზიის ხალხთა მეგობრობის მონუმენტის მშენებლობა.

## კანცლერის განცხადებით

ამას წინათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კანცლერმა ოტო მაიერმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგი სესია, რომელიც 1961 წლის ივნისში გაიმართება ათენში, განიხილავს იაპონიის ოლიმპიური კომიტეტის წინადადებას XVIII ოლიმპიური თამაშების პროგრამის შემცირების შესახებ.

ტოკიოს ოლიმპიადის ორგანიზატორებმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში შეიტანეს წინადადება თამაშების პროგრამიდან ხუთჭიდის, საბაიდარო ნიჩბოსნობისა და კანოეს, ხელბურთისა და მშვილდოსნობის ამოღების შესახებ. დღის წესრიგშია აგრეთვე საკითხი, სად გაიმართოს ოლიმპიური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ცხენოსნობაში.

## საერთაშორისო მატჩზე

ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად იმყოფება ჩვენი ქვეყნის ჰოკეისტთა ახალგაზრდული ნაკრები. მათ პირველი შეხვედრა გამართეს ჩრდილოეთ დაკოტას შტატის უნივერსიტეტის გუნდთან ქალაქ გრანდ ფორკსში და მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 4:3.

## ორ საციგურაოზე

მიმდინარე წლის მოციგურეთა პირველი საკავშირო შეჯიბრება კიროვში ერთდროულად — „დინამოსა“ და „შრომითი რეზერვების“ საციგურაოზე გაიმართა.

ქალთა შორის 500 მ რბენაში გამარჯვება მოუტანა სპარტაკელ ქ. გუსევას — 48,2 წ., სამაგიეროდ, 1500-მეტრიანი დისტანცია მოიგო სვერდლოვსკელმა ვ. სტენინამ („ტრუდი“). ვაჟთა შორის სპრინტერულ დისტანციაზე ბრძოლა დამთავრდა არმიელ ე. გრიშინის უპირატესობით — 41,8. 3000 მეტრი მოიგო დინამოელმა ვ. კოსიჩკინმა — 4.51,6.



თბილისში შენდება დახურული საცურაო აუზი, რომელსაც ექნება ტრიბუნები რამდენიმე ათასი მაყურებლისათვის.

სურათზე: დარბაზის მშენებლობაზე.




სურათზე: საქართველოს 1960 წლის ჩემპიონები კროსში. მარცხნიდან — ი. შეპეტკოვი, ს. ჩოტულიდი, მ. ვარდანიანი, ჯ. კვანტალიანი, თ. მაჭავარიანი, ო. ზებულაშვილი, თ. კუჭავა, მამამთავრიშვილი, თ. მიქაელიანი და რ. კოჩიევი.

# საქართველოს 10 უძლიერესი მძლეოსანი 1960 წლის 31 დეკემბრისათვის

## ვაჟები

### 100 მ

ლ. ანთაძე („ლოკ". თბ.), ე. ლომთაძე („სპარტ." თბ.), ზ. ჯარაშნელი („დინ". თბ.)—10,4, გ. თურმანიძე („ბურ". თბ.)—10,6, ჩუბინიძე („განთ". თბ.), რ. სერებრიანი („სპ." თბ.), ა. ივაშჩენკო („დინ." სოხ.)—10,7, პ. ნაგორნი („ბურ". თბ.) ბ. სალუქვაძე („ბურ". თბ.), ი. შაკარნისი („დინ." სოხ.) — 10,8, გ. მურადოვი („შრ. რეზ." თბ.) — 10,8.

### 200 მ

ნ. კლიუევი („შრ. რეზ." თბ.) გ. თურმანიძე — 21,5, ე. ლომთაძე — 21,8, ლ. ანთაძე — 22,1, ზ. ჯარაშნელი — 22,3, ვ. სხულუხია („კოლმ." თბ.), ბ. სალუქვაძე — 22,6, ს. კირაკოზოვი („სპ. თბ.), რ. სერებრიანი — 22,7, ა. ივაშჩენკო — 22,9.

### 400 მ

ნ. კლიუევი — 49,8, პ. ნაგორნი, ი. დიაჩკოვი („დინ." თბ.) — 50,6, ბ. სალუქვაძე — 50,8, ბ. კიუტი (ასკ. თბ.) — 50,9, ლ. ნიკოგოსოვი („განთ". თბ.)—51,6, გ. გაგოშიძე („შრ. რეზ". თბ.)—51,8, გ. იმნაძე (ასკ. ბათ.)—51,9, ი. შუდლო (ასკ. ქუთ.), ვ. ანჯაფარიძე („ბურ." გორი) — 52,7.

### 800 მ

ვ. ლოგუნოვი („შრ. რეზ." თბ.). — 1.54,0, ვ. ივანოვი („დინ." ბაგრა) — 1.55,0, ვ. პოზნარი (ასკ. თბ.) — 1.57,0; ნ. თვაური („განთ." თბ.) —1.57,8, გ. იმნაძე—1.58,0, ვ. პეტროსიანი („დინ". სოხ.)—2.00,0, ლ. ივჩიკი („დინ." ბათ.) — 2.00,8, ა. ზლობინი („სპ". ბათ)—2.00,9, ზ. ეფრემიძე („ბურ." თბ.) — 2.00,9, პ. სედოვი („დინ". ბათ.)—2.01,3.

### 1500 მ

ნ. თვაური — 3.57,1, ნ. სერგეევი (ასკ თბ.) — 4.04,7, ვ. ივანოვი — 4.05,8, ი. სისოევი — 4.07,6, ზ. ეფრემიძე — 4.12,7, ვ. პოზნარი — 4.12,8, ვ. კომაროვი — 4.13,1, ლ. ივჩიკი — 4.13,8, ვ. პეტროსიანი — 4.14,0, ვ. ზვერევი („ბურ." თბ.) — 4.14,6.

### 5000 მ

ნ სერგეევი—30.15,8, ვ. პერისტი („კოლმ." თბ.) — 15.28,0, ვ. პოზნარი — 15.35,3, ი. სისოევი — 15.36,4, ი. კომაროვი — 15.38,0, ი. უშაკოვი („განთ." თბ.) —15.51,8, ვ. ზვერევი — 15.55,4, ვ. ივანოვი („დინ." ბათ.) — 16.07,0, ლ. ივჩიკი —16.09.8, კ. აგრბა („ბურ." თბ.) — 16.10,6.

### 10.000 მ

ნ. სერგეევი—30.15,8, ვ. პერისტი — 32.50,0, კ. აგრბა — 33.15,4, ი. უშაკოვი—33.46,0, ი. სისოევი —34.22.8, ი. ლაჩრიშვილი („კოლმ." თბ.) — 35.27,6, ა. მორდვინოვი („ბურ". თბ.) — 36.26,8, ო. პუპარევიჩი („დინ." ბათ.) — 37.51,6, დ. ლეკიშვილი („ბურ." თბ.) — 37.57,4.

### 110 მ. თარჯრბენი

მ. ტულუში („დინ." ბათ.)—14,2, გ. პოპოვი (ასკ თბ.) — 14,5, ი. დიაჩკოვი — 14,7, გ. გვინჩიძე („დინ." თბ.) — 14,8; გ. ლექავა — („ბურ." თბ.) — 15,1, ვ. ფედოროვი („შრ. რეზ". თბ.)—15,2, ნ. ფოცხვერაშვილი („ბურ." გორი) — 15,4, ვ. არსიაშვილი („ბურ". თბ.) — 15,8, დ. გაბუნია („ბურ." ქუთ.), ბ. სამოილენკო („დინ." თბ.) — 15,8.

### 200 მ. თარჯრბენი

ი. დიაჩკოვი — 24,9, მ. ტულუში — 25,2, გ. გვინჩიძე, ვ. სხულუხია („კოლმ". თბ.) — 25,5, ვ. ლანჩავა (გან. განყ. ქუთ.)—25,9, გ. ლექავა („ბურ." თბ.) — 26,0, ს. სიდელნიკოვი („შრ. რეზ." თბ.) — 27,4, ი. მეტრეველი (გან. განყ. თბ.)—28,4, ვ. ქიგალკინი (გან. განყ. თბ.) — 28,4, ვ. ფედოროვი — 28,5.

### 400 მ. თარჯრბენი

პ. ნაგორნი — 56,1, გ. პოპოვი — 56,2, ბ. სამოილენკო — 57,6, მ. ტულუში — 57,9, ვ. არსიაშვილი — 58,0, გ. იმნაძე — 58,9, ვ. ფედოროვი — 59,5, ი. ლოგუნოვი — 59,9, ლ. ნიკოგოსოვი — 1.00,0, ვ. მიაგკი („დინ." ქუთ.) — 1.03,4.

### სიარული 20 კმ

ა. შჩერბინა („დინ." თბ.) — 1:29.26,0, ნ. კალანდაძე („სპ." თბ.) — 1:31.08,4, ა. მაკაროვი (ასკ. თბ.) — 1:31.09,0, ა. მჭედლიძე („ლოკ". თბ.) — 1:43.11,0. პ. ურკევიჩი („ბურ". თბ.), ა. პროკოშკინი („კოლმ". თბ.)—1:48.46,0.

### სიგრძეზე ხტომა

რ. ქვაჩაკიძე („ბურ". თბ.) — 7.79, ა. ბედუკაძე („განათ." თბ.) — 7.39, ი. დიაჩკოვი — 7.18, ბ. სამოილენკო — 7.15, ვ. მედვედიუკი („ასკ." თბ.) — 7.13, ვ. ჩხეიძე („სპ". თბ.)—7.09, რ. რამაზაშვილი—(„ბურ". თბ.), ვ. სილუიანოვი—7.08, გ. გორბაჩოვი („ლოკ". თბ.), რ. ჩუბინიძე — 6.96.

### სიმაღლეზე ხტომა

რ. შავლაყაძე („დინ". თბ.)—2.16, გ. გორბაჩოვი—2.02, ი. დიაჩკოვი — 1.93, ო. ბარგანჯია („დინ." სოხ.) — 1.90, გ. ქაძანაია („ბურ." თბ.) — 1.90, რ. ქვაჩაკიძე, ა. ოგანეზოვი („სპ." ბორჯ.), გ. ვიბლიანი —1.85, რ. ავალიანი — („ბურ." თბ.), — დ. ძაგანია („ბურ". თბ.), ვ. კაზანბა („დინ". სოხ.), ო. მურადაშვილი (გან. განყ. თბ.), ვ. კალაძე („ბურ". თბ.), ა. ივანეიშვილი (გან. განყ. ქუთ.), თ. მდივანი („სპ". თბ.), ლ. კარტოზია („ბურ." თბ.) — 1.80.

### სამხტომი

ვ. ჩხეიძე — 15.89, ლ. დარახველიძე („სპ". თბ)—15.65. ბ. სიმაკოვი — 15.52, ვ. მედვედიუკი — 15.51, ვ. ალექსანდროვი („ბურ." სოხ.) — 15.1, გ. გორბაჩოვი — 14.83, ტ. გიორგობიანი („სპ." ქუთ.) — 14.43, რ. რამაზაშვილი, თ. მეჭურჭლიშვილი — 14.22, გ. ზამბახიძე (გან. განყ. თბ.) — 14.13.

### ჭოკით ხტომა

ვ. ვენცკევიჩი („დინ." თბ.) — 4.30, ე. პიპინოვი („დინ". თბ.), გ. კობიაშვილი („ლოკ." თბ.) — 4.10, ი. შუქუროვი, („ბურ." თბ.) —4.00, ო. ხოლოდოკი („ასკ." თბ.) — 3.90, ი. დიაჩკოვი — 3.80, ვ. ფურმანი („ბურ." თბ.) — ა. აბიბ-ოღლი („შრ. რეზ." თბ.) — 3.70, ვ. სკიბა („სპ". თბ.), გ. საპუნცევი („შრ. რეზ". თბ.), — გ. ღვინძე (გან. განყ. თბ), ი. სანგულია („ასკ." თბ.) — 3.60.

### ბადროს ტყორცნა

გ. ჩადუნელი („ლოკ." თბ.) — 50.78, გ. გუდაშვილი („კოლმ." თბ.) — 49.91, ვ. ბლიაძე („დინ." მახარაძე) — 47.61, თ. ზუხბაია („ბურ." თბ.) — 47.03. ა. ხაბურზანია („ასკ." ბათ.) — 43.94, კ. გორძამაშვილი („კოლ." თბ.) — 43.78, ე. ნოზაძე („ბურ." თბ.) — 42.98, ლ. სონღულაშვილი („განთ". თბ.) — 42.08, ი. დიაჩკოვი — 42.08, ვ. ტარანი („ასკ". თბ.) — 40.73.

### შუბის ტყორცნა

ი. გვგაური („ლოკ." თბ.) — 73.03 ლ. შაგოვი — („ბურ." თბ.) — 70.63, ნ. კორსანტია („კოლმ." თბ.) — 69.18, ნ. დაოვი („ბურ." თბ.) — 68.70, ვ. შვედი („შრ. რეზ." თბ.) — 65.20, კ. გორძამაშვილი („კოლმ". თბ.),—65.00, ი. წულუკიძე („დინ". სოხ.) — 64.72, ნ. მგელაძე („სპ." თბ.) — 63.50, ო. კიაზიმ-ზადე („ბურ." თბ.) — 62.19, ი. სანგულია — 61.92.

### უროს ტყორცნა

ე. მეჟენკოვი („განთ" თბ.) — 55.0, ო. ართილაყვა („ლოკ". თბ.) —53.73, თ. ჭუჭულაშვილი („ლოკ". თბ.) — 49.95, ვ. კოვალენკო („ბურ." თბ.) — 49.44, ა. ნეცვევსკი („ბურ." თბ.) — 47.87, ო სისაური („ლოკ." თბ.) — 47.28, შ. შანიძე („შრ. რეზ." თბ.) — 46.25, ა. ბალიაშვილი („შრ. რეზ.") — 45.88, დ. ჯუღელი („ბურ." თბ.) — 44.12, ბ. ვოროპაევი („დინ." თბ.) —42.03.

### ბირთვის კვრა

ო. გოშაძე („ლოკ." თბ.) —15.50, ვ. ბლიაძე — 15.40, ვ. მაისურაძე („ბურ." თბ.) — 15.14, გ. შავთვალაძე („ბურ." თბ.) — 14.50, თ. მეჭურჭლიშვილი — 13.97, ი. დიაჩკოვი — 13.90, ნ. ჰეიშვილი („სპ.". ქუთ.)—13.85, ლ. სონღულაშვილი — 13.74, ი. წულუკიძე — 13.40, ა. ველი („დინ". თბ.)—13.30.

### ათჭიდი

ი. დიაჩკოვი — 7198, ო. ხოლოდოკი — 5713, ი. სანგულია — 5542, რ. ქვაჩაკიძე — 5321, რ. ავალიანი — 5159.

## ქალები

### 100 მ

ნ. დვალიშვილი („დინ." თბ.) ა. ოვივიანი („დინ." თბ.) — 12,0, ვ. ოვსეენკო („განთ." რუსთავი) — 12,1, მ. პაპიაშვილი, („სპ." ქუთ.) ნ. სოლოვიოვა — („დინ." სოხ.) 12,2. ლ. იევლევა („ბურ." თბ.), ნ. გაბეხაძე („ბურ." თბ.) — 12,3. ე. ბურლაკოვა (გან. განყ. თბ.) — 12,4, ნ. შიშკოვა — („დინ." ქუთ.) — 12,5, ნ. კონოფოლსკაია („ბურ." თბ.) — 12,6.

### 200 მ.

ნ. დვალიშვილი — 25,0, ა. ოვივიანი — 25,2, მ. პაპიაშვილი — 25,4, ნ. კონოფოლსკაია, ე. ბურლაკოვა — 26,0. თ. რაქმანოვა, („განთიადი", ბათ.), ლ. თოფჩიშვილი („ბურ". გორი), ფ. სტრახერი („ლოკ". თბ)—26,2, ლ. სუხარევა („სპ". თბ) — 26,6, ლ. იევლევა, ნ. სოლოვიოვა — 26,7.

### 400 მ.

ლ. თოფჩიშვილი — 58,8, ნ. შიშკოვა (გან. განყ. ქუთ.) — 59,6, ფ. სტრახერი — 1.00,0, ს. ნარმანია („დინ". თბ) — 1.00,5, გ. ზრაჟევსკაია (ოფ. სახ. თბ) — 1.00,5, ნ. უშაკოვა („ლოკ". თბ) — 1.01,0, მ. სართანია (განათ. განყ. ზუგდიდი)—1.01,9, ა. შუქუროვა („განთ". თბ.) — 1.02,6, ნ. ცაავა („ბურ". თბ.)—1.03,2, ნ. მატიუში („ბურ". თბ.) — 1.04,0.

### 800 მ.

ლ. თოფჩიშვილი — 2.19,5, ვ. ზრაჟევსკაია — 2.21,5, ს. ნარმანია — 2.29,5, ლ. ზგურსკაია — 2.35,4, ვ. პომაზონოვა („დინ". სოხ.) — 2.41,9, ვ. ბოიკო („განთ". რუსთავი) — 2.48,0, ნ. გაბეხაძე — 2.51,6, ლ. მატიუში, ნ. ცაავა — 2.51,8, ნ. ბაბაკიშვილი („ბურ". თბ)—3.00,3.

### 80 მ. თარჯრბენი

თ. რაქმანოვა — 11,0, ლ. იევლევა — 11,1, ნ. ქოჩლაძე — 11,2, რ. იანშინა — 11,5, ნ. გაბეხაძე — 11,9, ნ. დვალიშვილი, ვ. ზურაბაშვილი, ი. ავსაჯანიშვილი, ლ. პატარიძე („ბურ." თბ.) — 12,0, ა. ოვივიანი, ლ. ბოიკო („კოლ." თბ.) — 12,1; ლ. ვოლოშინა — 12,2.

### სიგრძეზე ხტომა

ლ. იევლევა — 6.25, ა. ოვივიანი — 5.91, ნ. დვალიშვილი — 5.87, თ. რაქმანოვა, თ. სპირიდონოვა („სპ." ქუთ.) — 5.62, რ. იანშინა, ს. ბრიბელსკაია — 5.57, ს. ტკაჩენკო (გან. გან. თბ.)—5.52, ლ. ვოლოშინა — 5.48, მ. მაქაცარია (გან. განყ. ზუგდიდი) — 5.33.

### სიმაღლეზე ხტომა

ლ. პატარიძე — 1,59, მ. კომოვა — 1,56, ი. ავსაჯანიშვილი — 1,53, ი. გაბაშვილი (გან. განყ. თბ.) — თ. რაქმანოვა, რ. იანშინა, ლ. ვოლოშინა, ნ. მაისაშვილი („ბურ." თბ.), ს. პრიბელსკაია („ბურ." თბ.) — 1,50, ე. კანდელაკი (განათ. განყ. თბ.), მ. კრაინიუკოვა („დინ." სოხ.) — 1,48.

### ბადროს ტყორცნა

ლ. ტულუში („დინ." ბათ.) — 54.32, ი. მხეიძე („დინ." თბ.) — 46.67, ქ. კახიშვილი („კოლ." თბ.) — 41,70, მ. ნედელია („ბურ." თბ.) — 41.22, ნ. შატალოვა („განთ." თბ.) — 38.77, ე. ჩარკვიანი („ბურ." ქუთ.) — 37.94, ი. კობაიძე („სპ." თბ.) — 37.55, ი. სანეევა („ბურ". თბ.) — 37.44, ნ. ჩხეიძე („სპ." თბ.) — 37.43, მ. გაბრიჩიძე (გან. განყ. ქუთ.) — 37.22.

### შუბის ტყორცნა

გ. ბრიტვინა („დინ." თბ.) — 46.40, ზ. შანგუა — 44.64, ს. ლე- ვიცკაია („სპ." ბათ.) — 43.25, ს ხარკოვსკაია („შრ. რეზ." თბ.) — —38.41, მ. დიაჩკოვა—36.17, ვ. სა მოილენკო („დინ." თბ.) — 35.8 ნ. ჩხეიძე — 33.10, ნ. ჯიქიძე („სპ ქუთ.) — 32.00, ე. ლომიძე („ლოკ" თბ.) — 30.34, ნ. ივონინა („დინ" თბ.) — 30.21.

### ბირთვის კვრა

ლ. ტულუში — 13.98, მ. დიაჩ კოვა — 13.65, ი. მხეიძე — 13.1 ქ. კახიშვილი — 12.56, მ. კრაინ უკოვა — 11.70, ლ. ობიდკო (გა განყ. თბ.) — 11.32, ი. სანეევა ნ. ჩხეიძე — 11.30, ზ. შანგუ („კოლმ." თბ.) — 11.8, ნ. შატ ლოვა — 11.09.

### ხუთჭიდი

ლ. იევლევა — 4 333, ნ. იანში — 4 068, თ. რაქმანოვა — 4 05 მ. კრაინიუკოვა — 3 830, ი. ავს ჯანიშვილი — 3 790, ს. სხირტლ ძე — 3 758, ლ. ბოიკო („კოლ თბ.) — 3 715, ლ. სანეევა („სპ თბ.) — 3 690, ე. სუპატაშვილ („სპ." ქუთ.) — 3 609, ე. ზურაბ შვილი (გან. განყ. თბ.) — 3 54



წვიმიან ამინდში ასეთ სურათს ხშირად ნახავდით ს. მ. კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის დახურულ მოედანზე. 1961 წელს სპორტის მოყვარულები იმედოვნებენ, რომ შეჯიბრებას დაესწრებიან ქოლგებისა და სხვა წყალგაუმტარი ინვენტარის გარეშე.

# მასობრიობისა და ოსტატობის გზით

* * *

„კოლმეურნის“ IV პლენუმზე

* * *

ამ დღეებში თბილისში მუშაობა დაამთავრა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს IV პლენუმმა, რომელმაც მოისმინა ცენტრალური საბჭოს სპორტული განყოფილების გამგის ს. ნათაძის მოხსენება საქართველოს სოფლის სპორტსმენთა დელეგაციის 1960 წლის საკავშირო ზონალურ სპარტაკიადაში მოპოვებული შედეგებისა და 1962 წლის საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების შესახებ და საორგანიზაციო-მასობრივი განყოფილების გამგის ვ. გოგრიჭიანის მოხსენება ცენტრალური საბჭოს III პლენუმის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

პლენუმის მუშაობამ ცხადყო, რომ ცენტრალური საბჭო სწორად მოიქცა, როცა პლენუმზე იმსჯელა ზემოაღნიშნულ საკითხებზე, რაზეც მიუთითებს ის ფაქტი, რომ ორივე საკითხმა დამსწრეთა ცხოველი კამათი გამოიწვია, მხილებულ იქნა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა დოლაძემ („კოლმეურნის“ სახჩერის რაისაბჭო), რუხაძემ (ადიგენი), ბაცანაძემ (გურჯაანი), ხაბალოვმა (სამხრეთ ოსეთი), მამედოვმა (მარნეული), კოშაძემ (სპორტის ოსტატი), კვინიკაძემ (ხაშური), გონაძემ (ასპინძა) და სხვებმა ილაპარაკეს საზოგადოების ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ მოპოვებულ წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე, როგორც სპორტულ, ისე საორგანიზაციო საქმიანობაში.

აღინიშნა, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში საგრძნობლად ამაღლდა საზოგადოების სპორტსმენთა მაჩვენებლები, რამაც გამოხატულება ჰპოვა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებზე მოპოვებულ მაღალ შედეგებში, რომელთაგან აღსანიშნავია გამარჯვება ზონალურ სპარტაკიადაში, ჩემპიონობა ძალოსნობაში, როგორც ნაკრები, ისე ძირეული კოლექტივისათვის.

მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს აგრეთვე ველოსიპედისტებმა, მოთხილამურეებმა, ცხენოსნებმა და სხვ. რის გამო საზოგადოების 49 სპორტსმენი შედის რესპუბლიკის ნაკრებში. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს მწვრთნელებმა შ. არქანიამ, რ. კორძაიამ, ა. გუნიამ, ი. ჩხარტიშვილმა, მარტო ამ უკანასკნელმა ერთი წლის განმავლობაში აღზარდა 6 ოსტატი.

სოფლის სპორტსმენთა 1962 წლის სპარტაკიადის პროგრამაში შეტანილია 13 სახეობა ე. ი. 8 სახეობით მეტი, ვიდრე 1960 წელს, რაც საზოგადოების სპორტსმენთა წინაშე აყენებს უფრო გაზრდილ მოთხოვნებს.

პლენუმზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო წინა პლენუმის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და აღინიშნა, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა ფიზკულტურელთა რაოდენობა, მაგრამ, დღეისათვის რესპუბლიკაში აღირიცხება 50 კოლმეურნეობა, სადაც ჯერ კიდევ არაა შექმნილი ფიზკულტურული კოლექტივი, აქედან 20 სამხრეთ ოსეთშია. მიუხედავად იმისა, რომ მასობრივ მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებები, ცენტრალურმა საბჭომ მაინც შეძლო ნიშნოსნების და თანრიგოსნების მომზადების გეგმების განაღდება. სამაგიეროდ, ამ საქმეში საგრძნობლად ჩამორჩნენ ლენტეხისა და ტყიბულის რაიონები, რომლებსაც ერთი პირველთანრიგოსანიც კი არ მოუმზადებიათ, მაშინ, როცა მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის კოლმეურნეობის კოლექტივმა მოამზადა 3 პირველი, 7 მეორე და 22 მესამეთანრიგოსანი.

სათანადო ყურადღება არ ექცევა საზოგადოებრივი კადრების მომზადებასა და გამოყენებას, სოფლად არ მოიპოვებიან კვალიფიციური მწვრთნელები, გამოცდილ მუშაკებს კი ქალაქიდან „ფეხის მოცვლაც“ არ სურთ. პლენუმზე ლაპარაკი იყო, აგრეთვე სპორტის პროპაგანდის, სააგიტაციო მუშაობის, ინდივიდუალური და იურიდიული საწევრო ანარიცხების ამოღების, საზოგადოების წევრთა კლუბისა და სხვათა შესახებ. ამ საქმეში სუსტი მუშაობისათვის გაკრიტიკებულ იქნა ქარელის, გორის, დუშეთის, მაიაკოვსკის, თეთრი წყაროს, გურჯაანის, ბოლნისისა და სხვა რაისაბჭოები.

პლენუმზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ყლენტი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა კოლმეურნე ქალებთან მუშაობის, საფინანსო გეგმების შესრულების, 1962 წლის სპარტაკიადის პროგრამის და სხვათა შესახებ.

პლენუმზე 1959 წელს მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის საქართველოს სპორტკავშირის წარმომადგენელმა შ. სუხიშვილმა „კოლმეურნის“ ცენტრალურ საბჭოს გადასცა ვიმპელი.





★

ბაკურიანში, ყურუსების მიდამოებში მდებარე ტბა საკმარისად გაიყინა. მოციგურავეებმა უკვე გაინავარდეს მის გლუვ ზედაპირზე.

★

# შემოქმედების სრულყოფის გზაზე

როგორ ითამაშა ნ. გაფრინდაშვილმა XX ჩემპიონატზე, როგორ მიაღწია მან მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტობას? ამაზე გარკვეულ პასუხს იძლევა XX ჩემპიონატში ნ. გაფრინდაშვილის გათამაშებულ პარტიებთან გაცნობა.

თავიდან, ჩემპიონატის წინ ქართველ ოსტატს ჰქონდა შემუშავებული ბრძოლის წარმოების გეგმა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო მისი პრეტენდენტთა ტურნირში გასვლა. რაში იყო ამ გეგმის საიდუმლოება?

უხეშად რომ ვთქვათ, იგი ითვალისწინებდა ყაიმებს ოსტატებთან და გამარჯვებებს პირველთანრიგოსნებთან. მაგრამ უფრო ღრმად, გეგმა გულისხმობდა მეტ სიფხიზლეს, დაკვირვებულობას, სიდინჯეს, ზედმეტ რისკისაგან თავის შეკავებას და თავის დროზე ყაიმზე შეთანხმებას. ეს უკანასკნელი ნურავის გააკვირვებს. ნ. გაფრინდაშვილი ყაიმის ისეთივე დაუძინებელი მტერია, როგორც ერთ დროს დიდი მ. ჩიგორინი იყო. ამის გამო ქართველი ოსტატი არაერთხელ დაზარალებულა. თუ რამდენად შეძლო ნ. გაფრინდაშვილმა დასახულის შესრულება, ამაზე მეტყველებს სატურნირო ცხრილი. ოსტატებთან ათ პარტიაში მან 4 ქულა დააგროვა (ორი წააგო, რვა ყაიმით დაამთავრა), პირველთანრიგოსნებთან რვა შეხვედრაში 7,5 ქულა დააგროვა, რასაკვირველია, ეს ციფრობრივი მონაცემები შეიცვლებოდა მისი ზოგიერთი პარტია რომ ლოგიკური შედეგით დამთავრებულიყო. ყოველ შემთხვევაში სპორტული მიზანი მიღწეულ იქნა.

მაგრამ ეს წარმატება განაპირობა ნ. გაფრინდაშვილის შემოქმედებითმა სიმწიფემ, სწორმა გეზმა, მონდომებამ. ყაიმები ოსტატებთან მისი უფერული თამაშის შედეგი როდია. აი, მაგალითად, გაეცანით მის პარტიას ს. როოტარესთან და დარწმუნდებით, თუ რამდენ აზრსა და გამომგონებლობას აქსოვდა იგი ბრძოლაში.

**ს. როოტარე—ნ. გაფრინდაშვილი**

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მ/3 მc6 3. კb5 კc5 4. c3 მ/6 5. d4 ed 6. e5 მe4 7. 0—0 d5 8. ed 0—0 9. dc ლ:c7 10. კ:c6 bc 11. cd კd6 12. მc3 მ:c3 13. bc კg4 14. h3 კh5 15. ეe1 ე/e8 16. ე:e8 ე:e8 17. g4 კg6 18. კe3 h5 19. c4 hg 20. hg კe4 21. მg5 კh2+ 22. მფ/1 კ/4 23. მ:e4 კ:e3 24. /e ე:e4 25. ლ/3 ეe6 26. მფg2 ლe7 27. ეe1 ეe4 28. ლg3 ლe6 29. ლb8+ მფh7 30. ლh2+ ყაიმი.

ამ პარტიაში ქართველმა ოსტატმა შემოქმედებითი გამარჯვება მოიპოვა. პაიკის შეწირვა პოზიციის ღრმა გაგებისა და თავის ძალებში რწმენის საუკეთესო გამოვლინებაა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩემპიონატში ნ. გაფრინდაშვილი დებიუტს უნაკლოდ თამაშობდა. ცდილობდა განეხორციელებინა საკუთარი იდეები, როგორც მაგალითად, ს. როოტარესთან პარტიაში.

ძნელია მთელი თვე იბრძოდე ერთი სიძლიერით. ყაიმები ასეთ დროს სულის მოთქმის უებარი საშუალებაა. მაგრამ ნ. გაფრინდაშვილი მას არასოდეს არ მიმართავდა. ამჟამადაც მას ეს ძვირად დაუჯდა. ამის ნათელი მაგალითია პარტია ტ. ზატულოვსკაიასთან, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ერთპიროვნული ლიდერობისათვის. ქართველმა ოსტატმა თანაბარი პოზიცია მიიღო და შეძლო ყაიმით დაკმაყოფილებულიყო. მაგრამ მან წამით დაივიწყა თავისი გეგმა, მოინდომა მოგებაზე თამაში, მაშინ როცა წინა პარტიებმა საკმაოდ მოქანცეს იგი. ბევრს ფიქრობდა, მოექცა ცაიტნოტში და დამარცხდა. აი ამ პარტიის ფინალი.

ნ. გაფრინდაშვილი



ტ. ზატულოვსკაია

გაფრინდაშვილის პოზიცია აქტიურია. იგი მზადაა შესწიროს პაიკიც იერიშის გაღვივებისათვის. პარტია ასე გაგრძელდა: 17.... მe4 18. კe3 (თუ 18. კ:e4, მაშინ 18.... de 19 ე:e4 კh2+ 20. მფ/1 ე:e4 21. ლ:e4 კ/5 22. ლe2 ლ:f7 23. მd4 ეe8 მოსაგები პოზიციით) 18.... a6 19. კd4 კh2+ (მცდარი მანევრი. აუცილებელი იყო 19.... კ/5) 20. მფh1 კ/5 21. მb4 ლd6 22. g3 a5 (იძულებითი დროის დაკარგვა) 23. მ:d5 მg5 (კიდევ ერთი შეცდომა. საჭირო იყო შერიგება პაიკის დაკარგვასთან. ახლა იკარგება ფიგურა) 24. ლg2 კ:h3 25. მ/6+ ლ:/6 26. კ:/6 კ:g2+ 27. მფ:g2 კ:g3 28. /g მe6 29. კb5 გაფრინდაშვილი დანებდა.

თითქმის იგივე შეცდომა გაიმეორა ო. რუბცოვასთან პარტიაში დასკვნით დღეს. „აუცილებლად მინდოდა მომეგო“ — გამიზიარა ნ. გაფრინდაშვილმა.

რასაკვირველია, უფრო მეტად ნ. გაფრინდაშვილის თამაში დადებითი იყო. ჩამოყალიბებული პოზიციური აზროვნება, საუცხოოდ გათვალისწინებული მანევრები და კომბინაციები, გამბედაობა, წამოჭრილ პრობლემათა გადაჭრაში, პაიკის შეწირვა ინიციატივისათვის — აი არასრული ჩამოთვლა იმ თვისებებისა, რომლებიც გამოავლინა ნ. გაფრინდაშვილმა და რომლებიც მისი მომავალი წარმატებების უტყუარი საწინდარია. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი თითქოს კალეიდოსკოპში თავმოყრილია ვ. ტიხომიროვასთან პარტიაში, რომელსაც გთავაზობთ სანახავად.

**ვ. ტიხომიროვა — ნ. გაფრინდაშვილი**

ძველინდური დაცვა

1. d4 მ/6 2. მ/3 g6 3. კg5 კg7 4. მd2 d6 5. e3 0—0 6. კe2 მbd7 7. 0—0 h6 8. კh6 e5 9. de de 10. c3 ლe7 11. ლc2 b6 12. კ:/6 მ:/6 13. მe4 მh7 14. მg3 კb7 15. ე/d1 e4 16. მd4 h5 17. h3 კe5 18. კc4 h4 19. მ/1 ეad8 20. მe2 მ/6 21 ე:d8 ე:d8 22. ეd1 ე:d1 23. ლ:d1 c5 24. მ/4 მფg7 25. კb3 კ:/4 26. e/ ლc7 27. g3 hg 28. /g



28.... e3 29. მ:e3 ლc6 30. მფh2 ლe4 31. ლg1 ლd3 32. ლe1 მe4 33. კc2 მd2 34. კd1 ლ:e3 35. ლ:e3 მ/1+ 36. მფg1 მ:e3 37. კe2 მ/5 38. მფ/2 მd6 39. მფe3 კd5 40. კd3 კ:a2 41. b4 კd5 ტიხომიროვა დანებდა.

როგორც ნ. გაფრინდაშვილის სპორტულ და შემოქმედებით შედეგებთან მოკლე გაცნობა ცხადყოფს, ქართველი ოსტატი თავისი დიდი ნიჭის სრულყოფის სწორ გზაზე იმყოფება, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მან მოუკლოს მუშაობას თავის თავზე. პირიქით, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტობა ავალებს მას გააათკეცოს მეცადინეობა, რათა ყველა გაახაროს ახალი გამარჯვებებით.

თ. გიორგაძე

ლელო
მე-8 გვ. № 2 (1638)



ბაკურიანში შენდება საციგურაოები. ამ სურათზე აღბეჭდილია პარკში მოთავსებული საციგურაო, რომელსაც მხოლოდ წყლის მოსხმა და მოყინვა აკლია.

## თასის მფლობელთა თასზე

ევროპის ქვეყნების [illegible] თასის მფლობელთა თასის პირველმა [illegible] თამაშებამ [illegible] ფართო ინტერესი გამოიწვია. ეგი თავისი შემადგენლობით თითქმის არაფრით ჩამოუვარდება ევროპის ქვეყნების ჩემპიონების თასის გათამაშებას. ამჟამად მისი მონაწილეებიდან მხოლოდ ოთხილა განაგრძობს ბრძოლას. ესენი არიან მსოფლიოში ცნობილი კლუბები „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" (ინგლისი), „გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია), „ფიორენტინა" (იტალია) და „დინამო" (ზაგრები). როგორც ცნობილია, ოთხივე ეს გუნდი უძლიერესთა რიგებს მიეკუთვნება თავიანთ ქვეყნებში.

მეოთხედფინალში ყველაზე დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდათ ინგლისელებს. მათ პირველი მატჩი წააგეს ვენაში „აუსტრიასთან" (0:2). სამაგიეროდ საპასუხო მატჩი ვულვერ ჰემპტონში „მგლებმა" საუცხოოდ ჩაატარეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ რიგებში ამჯერად არ იყო ეროვნული ნაკრების მოთამაშე, ნახევარმცველი ფლაუერსი, ინგლისელებმა „ნოკაუტი" გაუკეთეს (5:0) მეტოქეს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ფლაუერსის შემცვლელმა ნახევარმცველმა კოკჰამმა სათადარიგო შემადგენლობიდან, რომელმაც ავსტრიელთა კარში პირველი ორი ბურთი გაიტანა. ნახევარფინალში „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" უნდა შეხვდეს „გლაზგო რეინჯერსს", რომელიც, როგორც ცნობილია, შოტლანდიის ნაკრების ბირთვს წარმოადგენს.

არანაკლებ ინტერესს იწვევს ორი მატჩი „ფიორენტინასა" და „დინამოს" (ზაგრები) შორის. პირველი მოედანზე გამოიყვანს ჰამრინს (№ 4), მონტუორის (№ 9) და პეტრისს (№ 11), რომელიც ბრაზილიელ პელეს საოცარი სისწრაფის ფეხბურთელად მიაჩნია. იუგოსლაველთა შემადგენლობაში კი არიან შვეციაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი შიაკოვიჩი (№ 3) და ცრკოვიჩი (№ 9).

ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშება ამიერიდან ყოველწლიურად ჩატარდება.

## იაპონელთა რევანში

იაპონიაში სტუმრად იმყოფება სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა და მოსკოვის ქალთა ნაკრები გუნდები. მეორე შეხვედრა გაიმართა ტოკიოში ამ ქვეყნის ნაკრებ გუნდებთან. სსრ კავშირის ვაჟთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ჩესნოკოვი, ბურობინი, კოვალენკო, მონძოლევსკი, შჩერბაკოვი, ლიტიაგინი, ვოსკობოინიკოვი, იაკოვლევი და გერასიმოვი, დაამარცხა მეტოქე ანგარიშით 3:0.

პირველ შეხვედრაში დამარცხებისათვის რევანში აიღეს იაპონელმა ფრენბურთელმა ქალებმა, რომლებმაც მოსკოვის ნაკრებთან მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარეს და შესძლეს გამარჯვების მოპოვება — 3:1.

## ნორჩების შეხვედრა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მზადებას მიუძღვნეს საматჩო შეხვედრა გორისა და ხაშურის სპორტსკოლის ნორჩმა სპორტსმენებმა. შეჯიბრებების პროგრამა მრავალფეროვანი იყო.

გორელებმა უკეთესი მომზადება გამოამჟღავნეს ტანვარჯიშში, ფრენბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში, მძლეოსნობაში და დამაჯერებლად გაიმარჯვეს. სამაგიეროდ, ხაშურელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს გორის სპორტსკოლის ჩოგბურთელები და მოჭადრაკეები.

**ი. თევდორაშვილი**

### ქალაქებსა და რაიონებში

## თელავი

სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს მოკრივეებმა ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში ჩაატარეს საჩვენებელი შეხვედრა კრივში თელავის სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" სპორტსმენებთან.

• • •

ამას წინათ შედგა კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი ფეხბურთელთა შეჯიბრების ფინალი. ერთმანეთს შეხვდნენ სპორტული სკოლისა და ინსტიტუტის გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 3:2 სპორტული სკოლის ფეხბურთელთა გამარჯვებით.

* * *

თელავის სახელმწიფო თეატრის შენობაში თელავის მშრომელებმა, ინტელიგენციამ და ახალგაზრდობამ შეხვედრა მოუწყეს თავიანთ თანამემამულეს, სსრკ ნაკრები გუნდის წევრს, თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრს, სსრკ სპორტის ოსტატს გ. ჩოხელს.

**ვ. კოლელიშვილი**

## ქობულეთი

ქობულეთში მოეწყო რაიონის საიუბილეო სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავს.

მძლეოსნობაში უძლიერესნი აღმოჩნდნენ მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეები. კალათბურთში ქალთა შორის გამარჯვება წილად ხვდათ ამ სკოლის წარმომადგენლებს, ხოლო ვაჟთა შორის გაიმარჯვეს 1-ლი საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა, რომლებმაც გაიმარჯვეს აგრეთვე ფრენბურთში ქალთა შორის (ვაჟთა შორის — ჩაქვის მეურნეობის ფრენბურთელებმა) და მაგიდის ჩოგბურთში. ფეხბურთში ძლიერად ჩაატარეს შეხვედრები ოჩხამურელმა სპორტსმენებმა და დაიკავეს პირველი ადგილი. ტყვიით სროლაში გაიმარჯვეს მე-2 სკოლის მოსწავლეებმა.

საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ქობულეთის ა. წერეთლის სახელობის პირველი საშუალო სკოლის ნაკრებმა კოლექტივმა.

**შ. ტრაპაიძე**

## ევროპის ფეხბურთის მოედნებზე

### ინგლისი

22 ტურის შემდეგ ინგლისის ჩემპიონატში ასეთი მდგომარეობაა (პირველ ათ გუნდს შორის)

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| „ტოტენჰემი" | 22 | 40 |
| „ევერტონი" | 22 | 30 |
| „ვულვერჰემპტონი" | 22 | 30 |
| „შეფილდი" | 22 | 29 |
| „ბერნლი" | 22 | 29 |
| „ასტონ ვილა" | 22 | 28 |
| „უესტ ჰემი" | 22 | 23 |
| „არსენალი" | 22 | 22 |
| „ბლეკბერნი" | 22 | 21 |
| „ფულხემი" | 22 | 21 |

### იტალია

მოგვყავს იტალიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილი (პირველი ათეული)

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| „რომა" | 11 | 17 |
| „ინტერნაციონალე" | 11 | 16 |
| „მილანი" | 11 | 15 |
| „კატანია" | 11 | 14 |
| „ფიორენტინა" | 11 | 13 |
| „იუვენტუსი" | 11 | 13 |
| „ნეაპოლი" | 11 | 13 |
| „სამპდორია" | 11 | 13 |
| „ბოლონია" | 11 | 11 |
| „პადუა" | 11 | 10 |

### საფრანგეთი

20 ტურის შემდეგ საფრანგეთის პირველობაში ასეთი მდგომარეობაა (პირველი ათეული)

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| „რესინგი" | 20 | 32 |
| „მონაკო" | 20 | 28 |
| „რეიმსი" | 20 | 27 |
| „ანჟე" | 20 | 24 |
| „ლანსი" | 20 | 23 |
| „სედანი" | 20 | 23 |
| „რენი" | 20 | 22 |
| „ლიო ნავერი" | 20 | 21 |
| „ნიმი" | 20 | 20 |
| „რუანი" | 20 | 19 |

### ფეხბურთის ქრონიკა

აა დღეებში შედგა ორი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში. კოსტა-რიკის ნაკრებმა ანგარიშით 3:2 დაამარცხა გვატემალის გუნდი. მათი განმეორებითი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 4:4.

**ესპანეთი.** გაიმართა ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები, სადაც ლიდერებმა მოიპოვეს ახალი გამარჯვებები. „რეალმა" დაამარცხა „ბეტისი" — 5:0, „ბარსელონამ" — „მაიორკა" — 4:2, ხოლო „ატლეტიკო მადრიდმა" — „სევილია" — 2:0.

გათამაშებაში წინ არიან „რეალი" — 24 ქულა, „ბარსელონა" და „ატლეტიკო მადრიდი"—19 ქულა თვითეულს.



ამ დღეებში ჟენევაში შედგა ტრადიციული შეჯიბრება „ჟენევის შობის თასზე". შეჯიბრების მონაწილეთაგან ცხრამეტმა ვაჟმა და ხუთმა ქალმა გაბედეს ხიდიდან ჩახტომა მდინარე რონას ცივ დინებაში.

სურათზე: შეჯიბრების მონაწილენი ხტებიან ხიდიდან.

საქართველოს საჭადრაკო ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. ა. ჯაბუას მისი ძმის ანტონ ანდრიას-ძე ჯაბუას გარდაცვალების გამო.

**რედაქტორი ი. უგულავა.**



სპორტისმოყვარულები: ეჰ! როდის დაფრინდებიან ეს "მტრედები ჩვენს ბუდეში!


საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპორტული სკოლა ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე აწყობს ფეხბურთის საუბნო თვითმოქმედი გუნდების წვრთნას, კაპიტნების კონსულტაციას, შეჯიბრებას საუკეთესო მეკარის გამოსავლინებლად.
9-10 იანვარს ჩატარდება საუბნო თვითმოქმედი გუნდების გათამაშება სპეციალურ ჯილდოზე.
წვრთნასა და გათამაშებაში მონაწილეობის მსურველნი უნდა გამოცხადნენ ორჯონიკიძის ქ. № 52-ა



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო",
ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34. გამომშვები — 3-01-06.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03802